ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
ეცერის საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *გიორგი მოდებაძე*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ნატო ფანჩულიძე*

კვების დარგში ექსპერტი: *ჯულია მამალაძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *გულთამზე ხოროიშვილი*

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	235895073
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)*	ეცერის საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)*	-
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	საქართველო, მესტია, თამარ მეფის ქ.#48
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეცერი

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)*	-
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)*	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გრძანება MES 3 26 0000296940 (11.03.2026)
ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)*	6.04.2026 – 7.04.2026

5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

N	პროგრამის სახე[1]	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"- მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის 2025 წ.	ქართული		30 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2026 წლის 6 და 7 აპრილს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება - MES 3 26 0000296940 11.03.2026-ის საფუძველზე, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სოფელ ეცერის საბავშვო ბაღში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1.გიორგი მოდებაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავჯდომარე);
2.ნატო ფანჩულიძე - კურიკულუმის ექსპერტი;
3.ჯულია მამალაძე - კვების დარგში ექსპერტი;
4.გულთამზე ხოროიშვილი - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი;

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა საკუთარი მიმართულებების მიხედვით იმუშავეს დასკვნის მომზადებისთვის საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად, შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რიგითობის გათვალისწინებითშესაძლებელია დამატების ველები.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ყველა ის აქტივობა, რაც გაწერილი იყო წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით. ჩატარდა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუები შესაბამისი წესების დაცვით და მათი მხრიდან იყო მიმღებლობა და ხელშეწყობა ვიზიტის სრულფასოვნად განსახორციელებლად.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....
.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	**დაწესებულების თვითშეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] ***სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა*** ***ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“- მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის 2025 წ.***		
2. კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

	☐ **არ შეესაბამება**	☐ **არ შეესაბამება**
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

4.3. მატერიალური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. **დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას შემუშავებული აქვს მისიის დოკუმენტი, მისია ჟღერს შემდეგნაირად „ჩვენი მისიაა ვუზრუნველვყოთ ბავშვებისთვის უსაფრთხო და მათ ინტერესებზე ორიენტირებული გარემო, სადაც ბავშვი თავს გრძნობს ბედნიერად, ხელი შევუწყოთ თავდაჯერებული, კრეატიული და სოციალურად აქტიური ბავშვის-მომავალი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელიც მზად იქნება ახალი გამოწვევების მისაღებად და ბუნებრივი გარემოსა და რესურსების გამოყენების საფუძველზე შეძლებს კვლევისა და აღმოჩენის უნარების გამოვლენასა და განვითარებას“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისიის დოკუმენტი ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს, რამდენადაც მისიის დოკუმენტში აქცენტი კეთდება:

- ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და მის უზრუნველყოფაზე, სადაც ბავშვი თავს იგრძნობს ბედნიერად;
- აღსაზრდელთა ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე;
- ბავშვთა განვითარებაზე;

მისიაში გამოხატულია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცისა, **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ მისიის დოკუმენტთან ერთად წარმოადგინა შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი. დაწესებულების ხედვაა „2030 წლისთვის ჩვენი რეგიონის ბაღებში შექმნილია გარემო, სადაც პრიორიტეტია ბავშვის მრავალმხრივი განვითარება და კეთილდღეობაზე ზრუნვა, მომავალი ლიდერების და საზოგადოების აქტიური წევრების ჩამოყალიბება, რომელიც პროექტებში ჩართულობით და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით ივითარებენ გარემოსდაცვით უნარებს“. ხოლო ღირებულებებია:

- “პროფესიონალიზმი და ხარისხზე ორიენტირება;
- თანამშრომლობა;
- ინოვაციურობა;
- სამართლიანობა და თანასწორობა;
- პოზიტიური და მხარდამჭერი გარემოს შექმნა”.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან, ვინაიდან მისიაში ფოკუსირებულია ბავშვებისთვის უფართხო და მათზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, სადაც ბავშვი თავს ბედნიერად იგრძნობს და განივითარებს სხვადასხვა უნარს, ხოლო დაწესებულების ხედვაში საშუალოვადიან/გრძელვადიან მიზნად დასახელებულია ბავშვის მრავალმხირვი განვითარება და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა, საბავშვო ბაღის გარემოში ბავშვები აღიზრდებიან საზოგადოებისთვის აქტიურ წევრებად. დაწესებულების ღირებულებები კი თავის მხრივ უზრუნველყოფს მისიისა და ხედვის მიღწევას დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში პროფესიონალიზმითა და ხარისხზე ორიენტირებულობით, თანამშრომლობით, ინოვაციურობით, სამართლიანობითა და თანასწორობით, მხარდამჭერი გარემოს შექმნით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვალს N ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, აღნიშნული წესი განსაზღვრავს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესსა და პროცესში მონაწილე სამუშაო ჯგუფს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-5 მუხლის მიხედვით დაწესებულების ფილოსოფიის შემუშავების მიზნით გაერთიანების დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან:

ა) გაერთიანების ადმინისტრაციული პერსონალი - არანაკლებ 2 პირი;

ბ) საგანმანათლებლო პერსონალი - არანაკლებ 1 პირი;

გ) მუნიციპალიტეტის/თემის წარმომადგენელი - არანაკლებ 1 პირი;

დ) სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტებში აღწერილია მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესის ეტაპები. იკითხება ინფორმაცია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი შემუშავებულია, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და წარმოადგინეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომელშიც იკითხება, რომ გაერთიანების ადმინისტრაციულმა და საგანმანათლებლო პერსონალმა შეიმუშავა მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტის პროექტი, რომელიც განსახილველად და შესათანხმებლად გადაუგზავნეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, მუნიციპალიტეტისგან მიიღეს უკუკავშირი და 2024 წლის 9 ივლისს ჩატარდა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების 2023-2024 წლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების შემაჯამებელი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: საბ. ბაგა-ბაღების გამგეები, აღმზრდელები, გაერთიანების დირექტორი, მეთოდისტები, მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები, შეხვედრის ოქმში იკითხება, რომ გაერთიანების დირექტორმა წარმოადგინა დაწესებულების სტრატეგიული გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……

……

რჩევა

სასურველია, რომ დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებისთვის განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფში გაერთიანების ადმინისტრაციულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პერსონალთან და მუნიციპალიტეტის/თემის წარმომადგენელთან ერთად გათვალისწინებული იყვნენ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……

……

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვალს N ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, აღნიშნული წესის მე-6 მუხლი განსაზღვრავს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებასა და გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე დოკუმენტის საჯაროობას. მეთოდოლოგიის შესაბამისად მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია გაერთიანების წარმომადგენლებთან, ბაღის წარმომადგენლებთან. საჯაროობისთვის დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი განთავსებული აქვს დაწესებულების 2024-2030 წლების სტრატეგიულ გეგმაშიც და დაწესებულების სოციალურ გვერდზეც, მისია, ხედვა, ღირებულებების საჯაროობა დასტურდება ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერებითაც, დოკუმენტი გამოკრულია დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……

……

რჩევა

……

……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი;
2. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვალს N ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
3. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მისია, ხედვა, ღირებულებების დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. მესტიის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი ბაგა-ბაღების 2023-2024 წ. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი;

5. ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვალს N ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, კერძოდ, მეთოდოლოგიის მე-10 მუხლი ითვალისწინებს, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება ორჯერ, სტრატეგიული გეგმის განხორციელების შუალედურ პერიოდში და სტრატეგიული გეგმის დასრულებამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება წელიწადში ორჯერ (II და IV კვარტალში), შეფასება კი წელიწადში ერთხელ (IV კვარტალში). სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში გამოვლინდება ზუსტი საჭიროებები და დაწესებულებას მიეცემა საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები, ამოცანები, ხოლო საბოლოო შეფასების ძირითადი მიზანი კი შემდგომი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის ინფორმაციის უზრუნველყოფაა. წესში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესის შედეგების დოკუმენტირების ფორმა-ანგარიშების წარდგენით.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი ჯგუფი, რომელიც პასუხიმგებელი პირებისგან გამოითხოვს ინფორმაციას სამოქმედო/სტრატეგიული გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იქნებიან:

ა)გაერთიანების ადმინისტრაციული პერსონალი - არანაკლებ 2 პირი;

ბ)საგანმანათლებლო პერსონალი - არანაკლებ 1 პირი;

გ) მუნიციპალიტეტის/თემის წარმომადგენელი - არანაკლებ 1 პირი;
დ) სხვა.
ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მტკიცებულებები, რომელშიც იკითხება, რომ გაერთიანების ადმინისტრაციულმა და საგანმანათლებლო პერსონალმა შეიმუშავა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, რომელიც განსახილველად და შესათანხმებლად გადაუგზავნა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, მუნიციპალიტეტისგან მიიღეს უკუკავშირი.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, რომ დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვისთვის განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფში გაერთიანების ადმინისტრაციულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პერსონალთან და მუნიციპალიტეტის/თემის წარმომადგენელთან ერთად გათვალისწინებული იყვნენ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ წარმოადგინა გაერთანების დირექტორის მიერ 2026 წლის 16 თებერვლის N ბ36. 134260472 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს 2024-2030 წლების პერიოდს, დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვისას ეყრდნობა SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას. გეგმა გაწერილია 6 წლიან პერიოდზე და არის ციკლური, ვინაიდან ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის მიხედვით ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე. დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 4 სტრატეგიული მიზანი:

- სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა;
- სტრატეგიული მიზანი 2. უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა;
- სტრატეგიული მიზანი 3. ბუნებრივი გარემოს პატივისცემისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- სტრატეგიული მიზანი 4. მშობლებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება;

წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებებთან, ვინაიდან გაცხადებული ხედვა, წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის საფუძველს, ძირითად ორიენტირს, სტრატეგიული მიზანი 2 - უსაფრთხო და ინკლუზიური გარემო უზრუნველყოფს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას და კეთილდღეობაზე ზრუნვას. სტრატეგიული მიზანი 3 - უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი უნარების განვითარებას. სტრატეგიული მიზანი 4 - უზრუნველყოფს ბავშვის პრიორიტეტულობასა და მის კეთილდღეობას, ხოლო სტრატეგიული მიზანი 1 - უზრუნველყოფს ხედვით გაცხადებული მიმართულებების ეფექტიან აღსრულებას. დაწესებულების ღირებულებები კი განაპირობებს მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული აქვს მიზნების შესაბამისი ამოცანები. რომ შევაჯამოთ, დაწესებულებას აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის ხუთწლიანი, ციკლური, სტრატეგიული მიზნები პასუხობს დაწესებულების მიერ დეკლარირებულ მისიას, ხედვას, ღირებულებებს და მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №36.134260473 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების 2026 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 2026 წლის იანვრიდან - 2026 წლის დეკემბრამდე პერიოდს, მისი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ის ეფუძვნება დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების მიერ გაკეთებულ თვითშეფასებას, რამდენადაც მოიცავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიულ გეგმაში ასახულია SWOT ანალიზი, რომლის გათვალისწინებითაც შემუშავდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის და თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების აღმოსაფხვრელად დაგეგმილ აქტივობებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N№36.134260473 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების 2026 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმა სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, რომლებსაც თან ახლავს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, სამოქმედო გეგმაში გაწერილი ვადები არის რეალისტური, გათვლილია 2026 წლის იანვრიდან-დეკემბრამდე პერიოდზე, ამოცანების/აქტივობების შესრულებაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მათი პოზიციის შესაბამისია, გეგმაში გათვალისწინებული ადამიანური და ფინანსური რესურსი იძლევა დაგეგმილი აქტოვობების განხორციელების შესაძლებლობას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……
……

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვალს N ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, კერძოდ, მეთოდოლოგიის მე-10 მუხლი ითვალისწინებს, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება ორჯერ, სტრატეგიული გეგმის განხორციელების შუალედურ პერიოდში და სტრატეგიული გეგმის დასრულებამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება წელიწადში ორჯერ (II და IV კვარტალში), შეფასება კი წელიწადში ერთხელ (IV კვარტალში). სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში გამოვლინდება ზუსტი საჭიროებები და დაწესებულებას მიეცემა საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები, ამოცანები, ხოლო საბოლოო შეფასების ძირითადი მიზანი კი შემდგომი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის ინფორმაციის უზრუნველყოფაა. წესში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესის შედეგების დოკუმენტირების ფორმა-ანგარიშების წარდგენით.

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრატეგიული გეგმა შემუშავდა 2024 წელს და მასში ცვლილებები შევიდა 2026 წლის 16 თებერვალს N ბ36.134260472 ბრძანებით, აქედან გამომდინარე დაწესებულებას ჯერ არ უწევს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულებას სამოქმედო გეგმა დამტკიცებული აქვს 2026 წლის 16 თებერვალს N ბ36.134260473 ბრძანებით, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულება ვერ წარმოადგენდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავებულ სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების დამადასტურებელ დოკუმენტებს, **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……
……

რჩევა

……
……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……
……

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვალს N ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობა, აღნიშნულ წესში დაწესებულებას გაწერილი აქვს მექანიზმი, თუ როგორ უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგების საჯაროობას, კერძოდ, სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შეფასების შედეგები გამოქვეყნდება საჯაროდ, გაერთიანების სოც.ქსელში. ანგარიშის გაზიარებისთვის შესაძლებელია, ასევე გამოყენებული იქნას შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია (მაგ: საგანმანათლებლო პერსონალის მიერ დოკუმენტის მშობლებისთვის გაზიარება); საჯარო ღონისძიებები; ბეჭდვითი მასალები; ელექტრონული პლატფორმები.

რამდენადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დრო ჯერ არ დამდგარა, შედეგებიც ვერ იქნება საჯარო. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვალს N ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 16 თებერვლის N ბ36. 134260472 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა;

3. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 16 თებერვლის №36.134260473 ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
4. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
5. მესტიის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი ბაგა-ბაღების 2023-2024 წ. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი;
6. ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი [3]

პროგრამის სახე
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა
კურიკულუმის დასახელება
ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის 2025 წ.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ელემენტი ასახულია ეროვნული პროგრამისათვის ცალცალკე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შერჩევის და დეკლარირების ამსახველი დოკუმენტი, კერძოდ, კურიკულუმის დამტკიცების შესახებ ბრძანება: ბ36. 134260512 თარიღი:20/02/2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 02 მარტის N36 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის კურიკულუმების დამტკიცების შესახებ.

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას იხელმძღვანელებს ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის 2025 (დანართი N3ა). **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის 2025, ხელს უწყობს განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული განვითარების თითოეული სფეროს და თემატური მიმართულების შედეგების მიღწევას. კურიკულუმის მეთოდოლოგია, მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა - ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება, რაც ასეთი გარემოს მოწყობის საშუალებაა .

ბავშვის განათლების სტანდარტი, განვითარების სფეროებისა და თემატური მიმართულებებით, განსაზღვრავს, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი ადრეული და სკოლამდელი განათლების ფარგლებში. განვითარების სფეროები და თემატური მიმართულებები - ბავშვის განვითარების ერთი მთლიანი პროცესის ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპონენტია.

ერთის მხრივ, თემატური მიმართულებები ხელს უწყობს ბავშვის განვითარების სფეროებში მოცემული უნარების ათვისებასა და ცოდნის შეძენას, ხოლო მეორე მხრივ, ბავშვის შემეცნებითი, მეტყველების, სოციალური, ემოციური, ფიზიკური შესაძლებლობები განაპირობებს ცოდნისა და უნარების ზრდა-განვითარებას თემატური მიმართულებებით.. კურიკულუმის მთავარი პრინციპია ჰოლისტურობა და ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე ინდივიდუალური ზრუნვა. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების მიზანია განავითაროს ბავშვი შემდეგ სფეროებში და შესძინოს აღნიშნული სფეროების განვითარების მიხედვით შესაბამისი უნარები: ხელოვნება, წიგნიერება, ფიზიკური და სენსორული განვითარება, კომუნიკაციური უნარების, ენის და მეტყველების განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება. კურიკულუმით გათვალისწინებული აღნიშნული შედეგების მიღწევა შესაძლებელია ისეთი მეთოდოლოგიური რჩევებით და თემებით როგორიცაა: „ბავშვებთან ურთიერთობა და კომუნიკაცია“, „თამაში და ბავშვის ინტერესის მიყოლა“, „ჯგუფის ერთობა და განვითარებადი მახასიათებლები“, „კვლევა-აღმოჩენა და განვითარებადი მახასიათებლები“, „ინკლუზიური განათლება: დაინახე ბავშვი, დაეხმარე მას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება“, „პრაქტიკული მაგალითი 5-6-წლიანთა ჯგუფისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თამაში კურიკულუმის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს და მიჰყვება ბავშვის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობასა და კრეატიულობას. თამაში ქმნის შესაძლებლობებს, სადაც ბავშვი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური თამაშების მონაწილე, სწავლობს, ატარებს ექსპერიმენტებს და ქმნის ახალ რეალობებს. კურიკულუმი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ბავშვის აქტიურ მონაწილეობაზე, მის წამყვან როლზე ინტერესების და აქტივობების განსაზღვრაში, უფროსები კი მათთვის გზამკვლევისა და მხარდამჭერის როლს ასრულებენ. კურიკულუმის მიხედვით თამაში როგორც ბავშვის არჩევანი, სახალისო და საინტერესოა. თამაში სწავლისა და განვითარების ერთადერთი საშუალებაა. ბავშვი მაშინ თამაშობს, როდესაც მას მიაჩნია, რომ თამაშობს, ხალისობს და იღებს სიამოვნებას. თამაშისას საგნები, ქმედებები და სიტუაციები ჩვეულ

მნიშვნელობას კარგავს და ახალს იძენს. თამაშით ბავშვები რეალურ დროს და ადგილს წყდებიან და ახალ შესაძლებლობებს ცდიან. თამაშის დროს ბავშვები შინაგანი მოტივაციით მოქმედებენ, სადაც მათი ყურადღება ქმედებებზეა მიმართული და არა მიზნებზე, სადაც პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროდუქტი, ხოლო მიზანი კი თავად თამაშია. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს: ბაღის საგანამანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობას, ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტ ჩართულობას და მშობელთა განათლებას და ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე ბაღის მიერ შერჩეული კურიკულუმი უზრუნველყოფს საბავშვო ბაღისა და ოჯახს შორის ურთიერთობის ხელშეწყობას, ოჯახების მიმღეობას და ოჯახსა და ბაღს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას. კურიკულუმი ბაღს აძლევს საშუალებას დაგეგმოს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის შეხვედრები პირისპირ და ონლაინ ფორმატში, სოციალური ქსელით კომუნიკაცია, მშობელთა დაფის განთავსება ბაღში. კურიკულუმი მშობლებს სთავაზობს მიიღონ საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობა, მათ მიერ საკუთარ პროფესიებზე ბავშვებისთვის ინფორმაციის გაზიარებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სააღმზრდელო დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმში მოწოდებულია მრავალფეროვანი აქტივობები და საქმიანობები, ვინაიდან კურიკულუმის ცენტრალური იდეა არის თამაშზე დაფუძნებული სწავლება, რაც ბავშვს განიხილავს როგორც აქტიურ, შემოქმედებით და თვითგამომხატველს. კურიკულუმის ძირითადი განხორციელების მექანიზმია თამაშის საშუალებით ორგანიზებული მრავალფეროვანი საქმიანობები. კურიკულუმით გათვალისწინებული სააღმზრდელო გარემო დაყოფილია სხვადსხვა სათამაშო სივრცეებად სადაც ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, როგორებიცაა დრამატული თამაშები, ხელოვნების, კვლევის და აღმოჩენის, სენსორული, კუბურების, სამაგიდო თამაშების, წიგნიერების, მოსასვენებელი სივრცეების და წრეში შეხვედრის სივრჩეები.

კურიკულუმი ითვალისწინებს როლური და სიმბოლური, შემოქმედებითი საქმიანობების ინტეგრაციას, მსხვილი მოტორული უნარების განმავითარებელ თამაშებს, ნატიფი მოტორული უნარების განმავითარებელ თამაშებს, კვლევით, და შემეცნებით აქტივობებს. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და საქმიანობები მორგებულია ბავშვთა ასაკობრივ საჭიროებებს, განვითარების შესაბამის გამოწვევებს და ბავშვის ინტერესებს. ასაკის და განვითარების შესაბამისობა ვლინდება მრავალფეროვან აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობს სფეროების განივთარებას ყველა მიმართულებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის № ბ36.134260431 ბრძანებით. წესის თანახმად, კურკიკულუმის გაზიარება მოხდება დაინტერესებულ მხარეებთან (მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი და სხვა.) აღნიშნული წესი ადგენს კურიკულუმის გაზიარების საშუალებებს მუხლი 3-ის თანახმად როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის გაზიარება

1. დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმ(ებ)ს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:

ა) მშობლები/ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები;

ბ) დაწესებულების პერსონალი;

გ) თემი/მუნიციპალიტეტი;

3. დაწესებულების კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……

……

რჩევა

……

……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260512,** თარიღი: 20.02.2026წ. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2023წლის 02 მარტის #36 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **კურიკულუმის დამტკიცების** შესახებ;
2. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260431, თარიღი: 12.02.2026** ,,კურიკულუმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“, ,,ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 10 მაისის #26 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ააიპ

მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა- ბაღებისთვის **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;

3. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
4. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260494 , თარიღი: 18.02.2026 კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.**

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას, 20.02.2026 წელს დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის თანახმად სააღმზრდელო დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე უნდა ჩამოაყალიბოს კურიკულუმის შესაბამისი გემგები (შემდგომ-გეგმა/გეგმები); დაწესებულების მიერ შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (კვირის გეგმა), გრძელვადიანი -წლიური გეგმა ან/და კვარტალური გეგმა (კურიკულუმის შესაბამისად) და ინდივიდუალური გეგმა (წელიწადში ორჯერ - საჭიროების შემთხვევაში) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმების მოთხოვნებს.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება ბ36.134260893, თარიღი: 30.03.2026 კურიკულუმის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და**

ინდივიდუალური გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ; აღნიშნულ ბრძანებას თანდართული აქვს: მოკლევადიანი (კვირის) გეგმის ფორმა; გრძელვადიანი (კვარტალური) გეგმის ფორმა; ინდივიდუალური გეგმის ფორმა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი** დამტკიცებული ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის ბ.36134260513 20.02.2026 წ, ბრძანებით

აღნიშნული წესის მუხლი 3 აყალიბებს მოთხოვნებს რომლებიც უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შესაფერისი გეგმების ტიპებს, აღწერს აღნიშნულ გეგმებს. წესში აღწერილია პროცესის დაგეგმივსათვის განსაზღვრულია მოკლევადიანი, გრძელვადიანი და ინდივიდუალური გეგმების ტიპები. .გეგმების შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და დაწესებულების თანამშრომლების ჩართულობას მოითხოვს. დაწესებულება სააღმზრდელო პროცესთან დაკავშირებულ აქტივობებს განიხილავს აღმზრდელის და დაწესებულების დირექტორის, აღმზრდელის თანაშემწის ერთობლივი ძალისხმევით და ითვალისწინებს ბავშვის განვითარების ასპექტებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული გეგმები გადაეცემა გაერთიანების მეთოდისტს. დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა რომ გეგმების შემუშავება ერთობლივად განხორციელდება. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებასამ წარმოადგინა **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია** არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანებით: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026.

წესში ჩამოყალიბებულია სააღმზრელო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. წესში ჩამოთვლილია ბავშვის პორტფოლიოს ორგანიზების წესი, აღმზრდელ/პედაგოგის პორტფოლიოს წარმოების წესი, და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს ორგანიზების წესი.

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის დღის განრიგისა და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დამტკიცების შესახებ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანება: ბ36.134260516, თარიღი: 20.02.2026 თანახმად თანდართული დოკუმენტის სახით სააღმზრდელო დაწესებულებას აქვს დღის განრიგი 2-3 და 3-6 წლიანთა ჯგუფებისათვის.

დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 30 ბავშვის მიღება. დაწესებულების გამგემ აღნიშნა რომ ბაღს ეყოლება 2 შერეული ჯგუფი, 2-3-4 წლიანების და 5-6 წლიანებისთვის. სააღმზრდელო დაწესებულების მიერ ამჟამად დამტკიცებული დღის წესრიგი გათვალისწინებულია 2-3 წლიანთა და 3-6 წლიანთა ჯგუფებისათვის.

დაწესებულების გამგემ აღნიშნა რომ დაგეგმილი აქვთ სამომავლო სააღმზრდელო პროცესის წარმართვისთვის კურიკულუმის შესაბამისი გეგმების შემუშავება კურიკულუმის განხორციელებისათვის. აღნიშნული მიზნისთვის დაწესებულებამ წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება ბ36.134260893, თარიღი: 30.03.2026 კურიკულუმის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ; ბრძანებას თანდართული აქვს: მოკლევადიანი (კვირის) გეგმის ფორმა; გრძელვადიანი (კვარტალური) გეგმის ფორმა; ინდივიდუალური გეგმის ფორმა;

დაწესებულებამ წარმოადგინა აღმზრდელის წლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც არ შეესაბამება არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება №36.134260893, თარიღი: 30.03.2026 კურიკულუმის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ;** ბრძანების თანდართულ გრძელვადიანი (კვარტალური) გეგმის ფორმას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

……

……

რჩევა

……

……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: „დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი, 07.05 . 2026 N47 სადაც აღნიშნავს რომ: დღის განრიგი განსაზღვრავს დროით გარემოს და ბავშვების ძირითად აქტივობებს. დღის განრიგი დამტკიცებულია ორ ვერსიად. 2-3 წლის ჯგუფებისთვის, სადაც გათვალისწინებულია ძილის პერიოდი და 3-6 წლის ჯგუფებისთვის, სადაც ძილის დრო ცალკე არ არის გამოყოფილი, ვინაიდან სტანდარტი სავალდებულო დაძინებას არ მოითხოვს. აღნიშნული ასაბუთებს, რომ დღის განრიგი მორგებულია ბავშვების ასაკობრივ ჯგუფურ საჭიროებებზე. 2-3 წლის ჯგუფებისთვის დამტკიცებული განრიგი გავრცელდება ყველა ჯგუფზე, რომელშიც ამ ასაკის ბავშვები იქნებიან, ხოლო 3-6 წლის ჯგუფებისთვის განრიგი გავრცელდება ყველა ჯგუფზე, სადაც 3 წლიდან 6 წლამდე ბავშვები იქნებიან. ექსპერტის პოზიცია, რომ დღის განრიგები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ცხრილში გაწერილ ასაკობრივ განაწილებასთან ისედაც დასტურდება მოცემული ვერსიებით, ვინაიდან სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის (2 წლიდან 6 წლამდე) სრულ ასაკობრივ შუალედს ფარავს და მასში გათვალისწინებულია ასაკობრივი საჭიროებები. ამასთან, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტა, ათვისებული იქნება სკოლამდელი აღზრიდსა და განათლების პროგრამის ასაკობრივ ფარგლებში 2-6 წლის ბავშვებისთვის, თუმცა ბუნებრივია შიდა გადანაწილებას, როგორი შერეული ჯგუფები დაკომპლექტდება მომავლი 6 წლის განმავლობაში წინასწარ ვერ გავთვლით, ვინაიდან აღნიშნული დამოკიდებულია სამომავლოდ ჩასარიცხი ბავშვების ასაკსა და რაოდენობაზე. აღსანიშნავია ასევე, რომ აღნიშნული განაწილება არ მოითხოვება სტანდარტით, შესაბამისად ექსპერტის ხარვეზს ამ ნაწილი არ ვეთანხმებით. კურიკულულების დამტკიცების შესახებ 2026 წლის 20 თებერვლის ბრძანება №36. 134260512 პუნქტი 4 აწესებს, რომ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული განაწილების მე-18-დან 23-ე ნუმერაციის ჩათვლით საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის მითითებული კურიკულუმის განხორციელება სავალდებულო გახდეს ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, ხოლო მანამდე პერიოდში განაგრძონ ამ ბრძანების 2.1 და 2.2. პუნქტებით განსაზღვრული კურიკულუმებით ხელმძღვანელობა. შესაბამისად აღმზრდელის პორტფოლიოებში არსებული გეგმის ფორმები წარმოადგენს წარსულის პრაქტიკას და ბუნებრივია ვერ იქნებოდა შესაბამისი სამომავლო განახლებულ კურიკულუმთან. მზაობა, რომ გეგმები შესაბამისი იქნება ახალ კურიკულუმთან დასტურდება დამტკიცებული გეგმის ფორმებით და ექსპერტთა შეფასებით. აღნიშნული ფორმები გამოყენებაში ჩაეშვება ავტორიზაციის საბჭოს მიერ

დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. რაც შეეხება პერსონალისთვის მათ გაცნობას, მტკიცებულების სახით გიგზავნით ელექტრონულ ფოსტაზე თანამშრომლებისთვის გაგზავნილ ბრძანებას ბ36.134260893 (დანართი N01), ამასთან, ახალი კურიკულუმის შესაბამისი გადამზადება საგანმანათელებლო პერსონალისთვის გათვალისწინებულია პერსონალის განვითარების გეგმაში. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილ ხარვეზს, იმასთან დაკავშირებით, რომ წარსულში არსებული და ძველი კურიკულუმის შესაბამისი გეგმის ფორმები არ არის შესაბამისობაში მომავალში განსახორციელებელ, განახლებულ კურიკულუმთან."

ექსპერტთა გუნდმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, დღის განრიგის ასაკობრივ გადანაწილებასთან დაკავშირებით. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმების პრაქტიკაში დანერვა მოხდება რედაქტირებული კურიკულუმის დანერგვასთან ერთად. ექსპერტთა გუნდმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება იცვლება **სრულ შესაბამისობით.**

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: #36.134260513, თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ; აღნიშნული წესის თანახმად გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები. ასევე განსაზღვრულია აღსაზრდელზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები, და აღნიშნული პროცესისთვის საჭირო ინსტრუმენტები, როგორებიცაა ბავშვზე დაკვირვების ჩეკლისტები, პროცესზე დაკვირვების ფორმა, მშობელთან შეფასების გაზიარების ფორმა და სხვა. დაწესებულების გამგემ წარმოადგინა ბავშვზე დაკვირვების ფორმები რომლებიც არ არის თანხვედრაში მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ფორმებთან. დაწესებულების გამგემ აღნიშნა რომ ახალი კურიკულუმის დანერგვისთვის მიზნად აქვთ მარეგურილებელი წესით განსაზღვურლი დაკვირვების და ფორმების გამოყენება 2027 წლიდან.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთა უნარების ჩეკლისტის ნიმუში, 4-5 წლის აღსაზრდელთა შეფასების ფორმა, ბავშვზე დაკვირვების ფორმა, ბავშვის შეფასების ბარათი, აღნიშნული ფორმები არ არის შესაბამისობაში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში ჩამოყალიბებულ ფორმებთან. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: „კურიკულულების დამტკიცების შესახებ 2026 წლის 20 თებერვლის ბრძანება №36. 134260512 პუნქტი 4 აწესებს, რომ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული განაწილების მე-18-დან 23-ე ნუმერაციის ჩათვლით საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის მითითებული კურიკულუმის განხორციელება სავალდებულო გახდეს ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, ხოლო მანამდე პერიოდში განაგრძონ ამ ბრძანების 2.1 და 2.2. პუნქტებით განსაზღვრული კურიკულუმებით ხელმძღვანელობას. შესაბამისად აღმზრდელის პორტფოლიოებში არსებული წარსული პრაქტიკის ამსახველი შეფასებისა და დაკვირვების ფორმები ბუნებრივია ვერ იქნებოდა შესაბამისი სამომავლო განახლებულ კურიკულუმთან. მზაობა, რომ ფორმები შესაბამისი იქნება ახალ კურიკულუმთან დასტურდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის ბრძანებით: #36.134260513 მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - არსებული რეგულაცია ითვალისწინებს ექსპერტის მიერ მითითებულ 3 თემატურ მიმართულებასა და 5 განვითარების სფეროს.“

დაწესებულბის არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია რომ მარებულირებელი წესით განსზღვრული შეფასებისა და დაკვირვების ფორმების სააღმზრდელო პროცესში გამოყენება მოხდება მას შემდეგ რაც დაინერგება რედაქტირებული კურიკულუმი. ექსპერტმა გუნდმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება იცვლება **სრულ შესაბამისობით.**

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ თამაში/თამაშის ელემენტები სააღმზრდელო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხია. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ''თამაში'' აღმზრდელს საშუალებას აძლევს ბავშვი ჩართოს სხვადასხვა ტიპის თამაშში. ტრანზიციისთვის აღმზრდელმა დაასახელა ისეთი აქტივობები როგორიცაა მუსიკის ჩართვა, ვიზუალური მინიშნებებით ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა. აღნიშნული ინდიკატორი აგრეთვე დასტურდება სააღმზრდელო გარემოს ცენტრების პრინციპით მოწყობით, რაც ბავშვებს თავისუფალ არჩევანს აძლევს და საშუალებას იყვნენ შემოქმედებითები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……

……

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სააღმზრდელო ჯგუფი მოწყობილია ცენტრების პრინციპით. ცენტრები სახელწოდებების და ვიზუალური მინიშნებებით არის დასათაურებული. ჯგუფში არის წრეში შეხვედრების სივრცე, კონსტრუქციული სივრცე, ბუნებისა და მეცნიერების სივრცე, დრამატიზაციის და სახელოვნებო შესრულების სივრცე, მეტყველების, კომუნიკაციის და წიგნიერების ცენტრი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი. სააღმზრდელო ჯგუფში ცენტრების მიხედვით არის წარმოდგენილი რესურსები, კუბურები, დიდი და პატარა ზომის, ხის და პლასტმასის, წიგნიერების ცენტრში წარმოდგენილია წიგნები, ნატიფი მოტორული უნარების განვითარებისთვის საჭირო ბუნებრივი და მზა რესურსი მოთავსებულია გამჭვირვალე კონტეინერებში. წიგნიერების ცენტრში მოთავსებულია ანბანი. ხელოვნების ცენტრისთვის გუაშები, წებოები, მაკრატლები, ფერადი ფანქრები. ფუნჯები, პლასტელინი და კენჭები. ბავშვების ნამუშევრები მცირე რაოდენობით წარმოდგენილია კედლებზე და თაროზე. ოთახში არის განმარტოებისთვის საჭირო კარავი და დაგებულია რბილი მასალის საფარი. სააღმზრდელო დაწესებულების ეზოს დათვალიწერების შედეგად დადგინდა რომ დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი 4 განყოფილებიანი საქვიშე რომელიც განთავსებულია შენობის შესასვლელთან ახლოს და ერთი გვერდით ემიჯნება დაწესებულების შენობას, რაც უხერხულს ქმნის აღსაზრდელებისთვის საქვიშეში თამაშს. საქვიშეში მხოლოდ 1 განყოფილებაში არის ქვიშა, დანარჩენ 3 ში ბუნებრივი მასალები. ეზოში არ არის ბავშვის მსხვილი მოტორული უნარების განვითარებისთვის საჭირო ინვენტარი, როგორიცაა აიწონა დაიწონა, ასაცოცებელი და ჩამოსასრიაალებელი. ეზოში არ არის დრამატული თამაშებისთვის განკუთვნილი სივრცე, არ არის განმარტოებითვის საჭირო სივრცე და საჩრდილობლები. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ეზოში მოაწყოს ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის საჭირო რესურსი, როგორიცაა მსხვილი მოტორული უნარების განვითარებისთვის საჭირო ბალანსის (აიწონა-დაიწონა) ინვენტარი, საჩრდილობლები ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშებისთვის, მეორადი ან მზა მასალის მაგიდები და დასაჯდომები, მოაწყოს დრამატული სივრცე და საქვიშე განათავსოს ისე რომ მისი გადახურვის საშუალება იყოს და აღსაზრდელებისთვის იყოს ქვიშა ხელმისაწვდომი. გარე და შიდა სივრცის მოწყობამ საშუალება უნდა მისცეს თითოეულ ბავშვს მისთვის სასურველ აქტივობებში მონაწილეობის ასევე ჯგუფურ აქტივობებში ჩართვისთვის.

რჩევა

……

……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (07.05 . 2026 № 47) და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნავს რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როგორც შენობაში ისე მის გარეთ - წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმაში.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პასუხთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 7.05.2026-დან 7.05.2028-მდე პერიოდში დაწესებულებაში განხორციელდება კურიკულუმის შესაბამისი შიდა და გარე სივრცეების მოწყობისთვის სათანადო სამუშაოები. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს ხარვეზის გამოსწორებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **ნაწილობრივ შესაბამისობით.**

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის ბ.36134260513 20.02.2026 წ, ბრძანებით. აღნიშნული წესის მე-5 მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრას, დაწესებულება რესურსების განსაზღვრისას ითვალისწინებს მათ მიერ დამტკიცებული კურიკულუმების მიზნების შესაბამისად

მრავალფეროვანი რესურსების შერჩევას/შეგროვეაბს და ითვალისწინებს ჰოლისტურ მიდგომას, ამავე მუხლის მიხედვით დაწესებულებაში მოქმედებს მინიმალური რესურსების ნუსხა, რომელსაც ამტკიცებს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი. ამ წესის მე-6 მუხლი საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება მოიცავს რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის სქემას, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება წინასწარ აკეთებს ინვენტარიზაციას, ასევე ითვალისწინებს ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს, საჭირო რესურსის ნუსხას და შესაბამისად ხდება მოთხოვნილი რესურსების შესყიდვა/განახლება, დაწესებულებაში საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით. ბავშვის ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებისთვის, ასევე კურიკულუმით დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის, ამ მუხლით მექანიზმებთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისათვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი. დაწესებულებას აღნიშნულ წესში ასევე განსაზღვრული აქვს რესურსების მოძიების შემდეგი ალტერნატიული გზები: მოგროვება, დონაცია, დამზადება.

გათვალისწინებულია „ადრეული განათლების კურიკულუმის თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ რეკომენდაციები და განსაზღვრულია თემატური ცენტრების შესაბამისად. თანაფარდობის განსაზღვრა ხდება ჯგუფთან მიმართებაში. რესურსები მათი ხარჯვადობის მიხედვით შესაბამისად შესაძლებელია მოითხოვდეს პერიოდულ განახლებას, დამატებას, ან შენარჩუნდეს წლის მანძილზე.

დაწესებულების გამგემ და აღმზრდელმა ისაუბრეს კურიკულუმის დანერგვისთვის საჭირო რესურსების სიის განსაზღვრაზე რის შემდეგ აღნიშნული სია გადაეცემა გაერთიანებას. აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა რომ დაწესებულება რესურსების საჭიროება განისაზღვრება გამგის და საგანამანათლებლო პერსონალის მიერ ერთობლივად რაც ეფუძნება მათ მიერ სააღმზრდელო პროცესითვის შერჩეულ კვირის ხანგრძლივობის გეგმებს და აქტივობებს. ერთობლივი განხილვის შედეგად გამოვლინდება საჭირო რესურსი და გადაეცემა გაერთიანების მეთოდისტს. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……

……

რჩევა

……

……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……

……

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნულს უზრუნველყოფს გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის ბრძანებით N:ბ36. 134260516 ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის დღის განრიგისა და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დამტკიცების შესახებ განსაზღვრული ჩამონათვალი.

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსის (საკანცალარიო მასალა) მიღება-ჩაბარების აქტი, 19.12.2025წ. საგანმანათლებლო რესურსის (საკანცელარიო მასალა) მიღება-ჩაბარების აქტი 26.03.2026. ორივე დოკუმენტში ჩამოთვლილია საკანცელარიო ნივთები, ხატვისთვის საჭირო მასალა, და ბუშტები. აღნიშნულ ნუსხაში არ არის ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი და მზა მასალა, რაც კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვისთვის არის საჭირო;

დაწესებულებას აქვს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: ბ36.134260561 თარიღი: 25.02.2026, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული წესი აყალიბებს პარამეტრებს რომლებითაც ხდება დაწესებულების რესურსებით მომარაგება. დაწესებულებაში განხორციელებული კურიკულუმი და მისი სპეციფიკა განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესრურსს. 2026 წლის 20 თებერვალს ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ დაამტკიცა დანართი, სადაც ჩამოთვლილია გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა ბაღისთვის დღის განრიგი და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა.

დაწესებულებას აქვს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: #36.134260513, თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვით განსაღზვრულია რესრუსრების შეძენის და მათი სააღმზრდელო დაწესებულებებისთვის გადაცემის და დასესებულებების მიერ მათთვის რესურსების გადაცემის შემდგომ მიღების, განაწილების და ინვენტარიზაციის წესები. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმით გათვალისწინებულ მიზნებს და დამტკიცებულია აღწერაში ნაგულისხმევი წესის შესაბამისად.და უზრუნველყოს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მზა და მეორადი სააღმზრდელო რესურსი.

რჩევა

……

……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან (07.05.2026, N 47) ერთად წარმოადგინა შემდეგი პოზიცია: „მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა დამტკიცებულია ბრძანებით ბ36. 134260516, რომელიც წარმოდგენილი იყო თვითშფასების ფორმის დანართად“. ასევე, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც 2.2.2 მითითებულია კურიკულუმის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა, და განსაზღვრა 24 თვე შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად 7.05.2026-7.05.2028 პეროდიში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **ნაწილობრივ შესაბამისობით.**

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები დათვალიერების შედეგად დადგინდა : დაწესებულების შიდა სივრცე მოწყობილია კურიკულუმის შესაბამის შემდეგ თემატურ ცენტრებად: დრამატული, სამაგიდო თამაშების, მეცნიერების, წიგნიერების, ფიზიკური და სენსორული. სააღმზრდელო ჯგუფში არის კარავი, როგორც სივრცე განმარტოებისთვის, რომლიც ქვეში და გარშემო დაფენილია რბილი მასალის ფაზლი. დილის წრისათვის განკუთვნილი სივრცე არ არის მონიშნული. ცენტრებთან მინიშნებები ნაწერებით და ნახატებითა. აღნიშნული ბავშვებს აძლევს არჩევანის საშუალებას, თუ რა ტიპის თამაშში ჩაერთონ და თავისუფლად მოიპოვოს მის მიერ შერჩეული თამაშის შესაბამისი რესურსი, რაც განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ თაროებზე. შიდა სივრცეში არსებული თემატური სივრცეების განლაგება იძლევა ბავშვების თავისუფლად გადაადგილების საშუალებას. სააღმზრდელო ჯგუფის შესასვლელში არის განთავსებული დღის განრიგი ჭიკარტებით მიმაგრებული კედელზე. გარე სივრცე არ არის მოწყობილი ფიზიკური აქტივობების, დრამატული და სენსორული აქტივობებისთვის..ფიზიკური აქტივობისთვის გამოყოფილ სივრცეში არ არის ხელმისაწვდომი საქანელები ან სხვა რომელიმე ბალანსის აღჭურვილობა.დრამატული სივრცე არ არის რაიმეთი მონიშნული და არც რესურსითაა აღჭურვილი, რაც ართულებს ცენტრების ამოცნობას და გამოყენებას დანიშნულებისამებრ. გარე სივრცეში არ არის განმარტოებისათვის კარავი/სახლი ასევე საჩრდილობელი და ბავშვის მსხვილი მოტორული უნარების განვითარებისთვის შესაბამისი საძრომ/საცოცი აღჭურვილობით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, შიდა და გარე სივრცეების მოწყობა კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით. კურიკულუმით განსაზღვურლი ბავშვის განვითარების მიზნების მისაღწევად საჭიროა დაწესებულების სააღმზრდელო რესურსებით უზრუნველყოფა როგორც შიდა ისე გარე სივრცეში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: „რესურსების უზრუნველყოფის ნაწილი გათვალისწინებულია 2.2.2.2. ინდიკატორისთვის გაწერილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შიდა სივრცეში მოწყობის ნაწილში არ ვეთანხმებით ექსპერტის ხარვეზს, ვინაიდან თავად აღნიშნავს, რომ მოწყობილია თემატური ცენტრები.

გარე სივრცეში რესურსების ორგანიზების ნაწილს წარმოვადგენთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.“

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც აღნიშნულია რომ 7.05.2026-7.05.2028 პერიოდში მოხდება გარე სივრცის მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **ნაწილობრივ შესაბამისობით.**

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში სააღმზრდელო ოთახი მოწყობილია კურიკულუმით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით, კერძოდ, არის ცენტრების პრიპციპით დაგეგმილი სააღმზრდელო პროცესი რომელიც ითვალისწინებს ბავშვის მიერ მისთვის სასურველ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობას. დაწესებულებას აქვს ბავშვის განვთარებისთვის საჭირო რესუსრსები რომლებიც განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე შესაბამის თაროებზე. სააღმზრდელო დაწესებულების გარე სივრცეში არის მხოლოდ 1 საქვიშე, რომელიც მიდგმულია სააღმრდელო დაწესებულების შენობაზე. ეზოში არ არის საჩრდილობლები, არ არის ბავშვის მოტორული უნარების განვითარებისთვის საჭირო ინვენტარი, ბავშვის ინდივიდუალური და ჯგუფური თამაშებისთვის ეზოს სივრცე არ არის გამოყენებული. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცეში ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების განვითარებისთვის საჭირო ინვენტარი, რომელიც პასუხობს კურიკულუმის მიხედვით ბავშვის განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნებს.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად 07.05.2026 N47, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნვეყოფის გეგმა, სადაც (2.2.3. მითითებულია, რომ მოეწყობა გარე ეზო 07.05.2026 - 07.05.2028 პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **ნაწილობრივ შესაბამისობით.**

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ოთახი მოწყობილია ცენტრების პრინციპით. სააღმზდელო ოთახში არის განმარტოების სივრცე, კარავი, რომლის ქვეშ დაფენილია ფაზლის საფარი. სააღმზრდელო დაწესეუბლებაში არის 4 მაგიდა და 14 მაგიდა, რაც იძლევა შესაძლებლობას განხორცილედეს აქტივობები როგორც მცირე ასევე დიდ ჯგუფებში. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: #36.134260513, თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;

აღნიშნული ბრძანების მე 7 მუხლი შეფასების მეთოდებს განსაზღვრავს რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის. დაწესებულება იყენებს დაკვირვების და შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს როგორებიცაა ბავშვზე დაკვირვების ჩეკლისტები, სააღმზრდელო პროცესზე დაკვირვების ფორმას, ბავშვის შეფასების ფორმას,

წესის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელ და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი; ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი. შეფასება ხორციელდება, ოჯახის ჩართულობით. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია; ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში არანაკლებ ორჯერ (ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე შესაძლოა დაემატოს შფასება). ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;

ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

დაწესებულებამ წარმოადგინა ფორმა რომელიც იყენებს ბავშვის განვითარების ინდივიდუალურ გეგმას, ასევე ბავშვის შეფასების ბარათი და ბავშვის შეფასების ჩეკლისტები. წარმოდგენილი ფორმები არ პასუხობს ფორმებს, რომლებიც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, ამტკიცებულია ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის ბ.36134260513 20.02.2026 წ, ბრძანებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: #36.134260513, თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელ წესში, მუხლი 7. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები მეხუთე პუნქტის თანახმად:

დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემის გზით ხორიცელდება:

ა) ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენა; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში; დ) საგანმანათლებლო პროცესის გააზრება.

6. ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელ და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი; 7. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი. შეფასება ხორციელდება, ოჯახის ჩართულობით. 8. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;

ადგილზე ვიზიტისას, აღმზრდელეთან გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი გამოიყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩეკლისტები სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით (რაც მოიცავს განვითარების 5 სფეროსა და 3

თემატურ მიმართლებას); ბ) ბავშვის შეფასების ფორმა (რაც მოიცავს განვითარების 5 სფეროსა და 3 თემატურ მიმართლებას); დ) მშობელთან შეფასების გაზიარების ფორმა (რაც მოიცავს განვითარების 5 სფეროს, 3 თემატურ მიმართლებას და აღმზრდელის სამომავლო სტრატეგიას). **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგურილებელი წესის თანახმად:

ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში არანაკლებ ორჯერ (ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე შესაძლოა დაემატოს შეფასება). ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს. აღნიშნული ჩანაწერის შინაარსის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გამოყენებას/ასახვას საგანმანათლებლო

პროცესის დაგეგმვასა და მოდიფიცირების პროცესში, . დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგურილებელი წესის, მუხლი 8. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა - ს თანახმად:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.
დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან გასაუბრებიდან გამოვლინდა რომ დაწესებულება მშობლის ინფორმირების მიზნით ახორციელებს მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრას და კომუნიკაციას მისთვის აღსაზრდელის განვითარების და მასზე დაკვირვების შედეგების გაცნობის მიზნით. დაწესებულებას ასევე აქვს მშობლის უკუკავშირის კითხვარი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგურილებელი წესის, მუხლი 8. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა - ს თანახმად:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.

2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან გასაუბრებიდან გამოვლინდა რომ დაწესებულება მშობლის ინფორმირების მიზნით ახორციელებს მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრას და კომუნიკაციას მისთვის აღსაზრდელის განვითარების და მასზე დაკვირვების შედეგების გაცნობის მიზნით. დაწესებულებას ასევე აქვს მშობლის უკუკავშირის კითხვარი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
2. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260561** თარიღი: 25.02.2026, **ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;**
3.არ ასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება ბ36.134260893, თარიღი: 30.03.2026 კურიკულუმის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ;**
4. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260516, თარიღი: 20.02.2026 ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის დღის განრიგისა და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დამტკიცების შესახებ;**
5. ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-საინვენტარიზაციო აღწერა-2025წ.;

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ აქვს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260431, თარიღი: 12.02.2026** ,,კურიკულუმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“, ,,ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 10 მაისის #26 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა- ბაღებისთვის **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;

მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება - ს თანახმად:

კურიკულუმის შეფასება მიზნად ისახავს რამდენად ეფექტურად ინერგება კურიკულუმი, კურიკულუმის შეფასების პერიოდულობა არის 2 წელიწადში ერთხელ; კურიკულუმის შეფასებისთვის ფორმირდება სამუშაო ჯგუფი გაერთიანების, სააღმზრდელო დაწესებულების წარმომადგენლებით შემდგარი. კურიკულუმის შეფასება მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას, ფიზიკური გარემოს შეფასებას, მშობლების უკუკავშირს და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას კურიკულუმი ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.

3.კურიკულუმის შეფასებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან: გაერთიანების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წამომადგენელი, გაერთიანების საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალი და სხვა.

4. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას: ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას; გ) მშობლების უკუკავშირს; დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;

6. საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება: ა) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი; ბ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ანალიზი და მათი შესაბამისობა კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან; გ) რუტინებისა და ტრანზიციების ანალიზი; დ) შეფასებისათვის დაწესებულება შეიმუშავებს და იყენებს მზა სახის კითხვარებს.

ფიზიკური გარემოს შეფასება გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს ფიზიკური გარემო და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის მიზნების მიღწევას.

ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის ხორციელდება: ა) ჯგუფური ოთახების/დაწესებულების შიდა სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი; ბ) ეზოს/გარე სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი.

10. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის გამოიყენება: ა) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი; ბ) მოკლევადიანი გეგმების ანალიზი.

11. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულება შეუმუშავებს და იყენებს მზა სახის შეფასების ინსტრუმენტს.
12. მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება: ა) ღია შეხვედრები ბ) შენიშვნის/წინადადების ყუთი.
13. საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიების ანალიზისთვის გამოიყენება საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიები. მიერ წლის განმავლობაში.
დაწესებულებამ წარმოადგინა მზა სახის შეფასების კითხვარები რომლებიც საჭიროებს ცვლილებას. კურკიკულუმის შეფასება 2. წელში იქნება განხორციელებული მას შემდეგ რაც კურიკულუმი დაინერგება საარმზრდელო დაწესებულებაში. დაწესებულებას აქვს ყუთი მშობლებისთვის განკუთვნილი მშობელთა საინფორმაციო დაფა. **ღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: ბ36.134260431, თარიღი: 12.02.2026 „კურიკულუმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“, „ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 10 მაისის #26 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
აღნიშნული წესი არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა კურიკულუმში ცვლილებების შეტანის საფუძველი; კურიკულუმის ცვლილებების მასშტაბი; ჩამოთვლილია ის გარემოებები რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები კურიკულუმში
3. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას; ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას; გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას; გ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას; დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა /გამრავალფეროვნებას; ე)

ცვლილებებს ბავშვების მახასიათებელების გათვალისწინების მიდგომებში; ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას; ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში); ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში; კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას;
4. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.
5. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას; 6. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) ამ წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმი შერჩევა; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260431, თარიღი: 12.02.2026** ,,კურიკულუმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“,
2. ,,ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 10 მაისის #26 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: ბ36.134260475, თარიღი: 16.02.2026; ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;
დაწესებულებამ წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: ბ36.134260476, თარიღი: 16.02.2026; ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ;
აღნიშნული გეგმის მიზანია უზრუნველყოს არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სისტემური, ეფექტიანი და მრავალმხრივი კომუნიკაცია როგორც შიდა, ისე გარე აუდიტორიებთან. საკომუნიკაციო გეგმა რომელიც ითვალისწინებს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და თემის თანამშრომლობასა და ჩართულობას, დაწესებულების მიერ განსახორციელებელ
აქტივობებში.
აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:
ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა; ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა; გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა; დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობების გადანაწილება; ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა; ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით, საკომუნიკაციო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: მიმართულება, აქტივობა, სამიზნე აუდიტორია, საკომუნიკაციო არხი, მტკიცებულება, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, განხორციელების ლოკაცია, სხვა ჩართული მხარეები გარდა გაერთიანებისა/ბაღისა, ფინანსური რესურსი; **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელთან ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღმზრდელი წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. საბავშვო ბაღს აქვს მშობელთა ჩართულობის შესახებ საინფორმაციო ფურცელი რომელიც გამოკრულია სააღმზრდელო დაწესებულების დერეფანში. საინფორმაციო ფურცელზე დატანილია ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს აღსაზრდელს მისი მშობლის სააღმზრდელო დაწესებულებასთნ კავშირით და მის საქმიანობაში ჩართულობით. სააღმზრდელო დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან გასაუბრების დროს მათ დაასახელეს თემში არსებულ სხვადასხვა ადგილებზე აღსაზრდელების გაყვანის პრაქტიკა. მათი თქმით აღსაზრდელები ესტუმრენ სუპერმაკეტ სპარის ფილიალს სოფელში, სკოლას, თემში არსებულ ტაძარში. დაწესებულებამ წარმოადგინა აღმზრდელის წლიური სამოქმედო გეგმა სადაც აღნიშნული მშობლებთან პოზიტიური ღია კომუნიკაცია მთელი წლის მანძილზე და მშობლის საათის ორგანიზება ასევე მთელი წლის მანძილზე. საკომუნიკაციო გეგმა, სადაც გაწერილი ერთ-ერთი აქტივობაა მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზი.

სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სააღმზრდელო პროცესის დაწყებისას აღმზრდელები ხვდებიან მშობლებს და აცნობენ დაგეგმილ ღონიშძიებებს და მათი მზაობის მიხედვით ერთობლივად ახორციელებენ ბავშვებზე ორიენტირებულ აქტივობებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება მშობლებთან ურთიერთობის და კომუნიკაციისთვის იყენებს ისეთ საშუალებებს როგორიცაა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები, ელ ფოსტა, ტექსტური შეტყობინებები, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები, სატელეფონო ზარები. დაწესებულება მშობლებს ხვდება ბაღში დაგეგმილი შეხვედრების გზით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება**: ბ36.134260475, თარიღი: 16.02.2026; ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ**;**

2.არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: ბ36.134260476, თარიღი: 16.02.2026; ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, წინასწარ არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სფეციფიკასთან დაკავშირებით.
შესაბამისი თემები და აქტივობები გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია** არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას;
2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

საკომუნიკაციო გეგმის შედეგენის წესში დაწესებულებას საკომუნიკაციო არხებში გაწერილი აქვს პირისპირ შეხვედრები რა დროსაც მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად გაეცნონ ბავშვის პორტფოლიოში არსებულ ბავშვის შეფასების შედეგებს.

დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან საუბრის შედეგად გამოვლინდა რომ საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვის გავნთარების შესახებ ინფორმაციას გაუზიარებს მშობლებს ინდივიდუალურად, და ბავშვის შესახებ ინფორმაცია გაზიარებული იქნება ინდივიდუალურად. სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებული ბავშვის განვითარების პორტფოლიოებში არსებული მასალა ბავშვის განვთარების შესახებ გადაეცემა მშობლებს და აღნიშნული მოქმედება გამოყენებული იქნება მშობლების უკუგების მიღების მიზნით. დაწესებულებას აქვს მშობლის უკუკავშირის კითხვარი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……

……

რჩევა

……

……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……

……

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა რომ აღსაზრდელების მიყვანა სუპერმარკეტ სპარში არის დაგეგმილი, ასევე მათი ვიზიტი სკოლაში და თემში არსებულ ტაძარში. გასაუბრებისად გამოვლინდა რომ მშობლების ჩართულობა დაგეგმილია საარმზრდელო დაწესებულებისთვის მეორადი და ბუნებრივი რესურსების მობილიზების მიზნით. დაწესებულებას ასევე დაგეგმილი აქვს ბავშვების სტუმრობა გამოვლინდა, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად გამოიყენებს თემში არსებულ მეურნეობებში და ასევე დაგეგმავს ბუნებაში გასვლას ბუნების შემეცნების მიზნით.

დროს. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული აქტივობების განხორციელებისთვის დაწესებულება ხელმძღვანელობს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით: ბ36.134260475, თარიღი: 16.02.2026; ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;
აღნიშნული წესი განსაზღვრავს მშობლებთან/თემთან კომუნიკაციის შეფასების მექანიზმს.
შეფასების მიზნით დაგეგმილია შემდეგი საშუალებების გამოყენება: კითხვარები, შენიშვნების/წინადადების ყუთი, ღია შეხვედრები/გამოკითხვის წარმოება; სოციალური მედიის მოინტორინგი; ანონიმური შეტყობინებები; კომუნიკაციის კონკრეტული არხით მოსარგებლეთა რაოდენობის მონიტორინგი; სამიზნე აუდიტორიისგან უკუკავშირის მიღების სიჩქარის შემოწმება;
დაწესებულება მიზნად ისახავს მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და შეიტანოს ცვლილებები იმ ინფორმაციის მეშვეობით, რომელსაც მიიღებს მშობლებთან/თემის წარმომადგენლებთან უკუკავშირით, და შეფასების შედეგების მიხედვით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: #36.134260513, თარიღი: 20.02.2026. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;

2.არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: ბ36.134260475, თარიღი: 16.02.2026; ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სოფელ ეცერის საბავშვო ბაღში შემუშავებულია ორგანიზაციული სტრუქტურა/ორგანოგრამა, საბავშვო ბაღის ორგანიზაციული სტრუქტურით, საშტატო ნუსხით, და პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ ბაღში დასაქმებულია: ბაღის გამგე, 2 აღმზრდელი, 3 აღმზრდელის თანაშემწე, 2 დამლაგებელი, 2 მზარეული, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. საშტატო ნუსხით პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა აკმაყოფილებს, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სოფელ ეცერის საბავშვო ბაღში მიმდინარე პროცესების შესრულებას ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. დაწესებულებას ჰყავს საკონსულტაციო საბჭო.

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტროის მიერ 2026 წლის 23 თებერვლის №36.134260543 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები, აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა ფუნქციებს, პასუხიმგებლობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ბაღს ამ ეტაპზე არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 23 თებერვლის N №36.134260543 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების შინაგანაწესი და ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები, დაწესებულების შრომის შინაგანაწესის თავი IV არეგულირებს დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლება-მოვალეობებს, ხოლო ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი

აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი აღწერს დასაქმებულ პირთა თანამდებობის/პოზიციის დასახელებას, შესასრულებელ დავალებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ანგარიშვალდებულებას, სხვა დამატებით მოთხოვნებს, აღნიშნული წარმოადგენს გაერთიანებაში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად და თანხვედრაშია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვალს N№36. 134260514 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესთან. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ფაქტს. დოკუმენტაციის შესწავლისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულების/პერსონალის ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული . **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 23 თებერვლის N №36.134260543 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების შინაგანაწესი და ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს:

- ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებლი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #22 დადგენილებით;
- ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #23 დადგენილებით.

- დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვალს N ბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტით.

შესწავლილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალებებისა და სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი არ არის თანხვედრაში ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებლი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #22 დადგენილებასთან და ასევე ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #23 დადგენილებასთან. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, რომ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებლი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #22 დადგენილება და ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #23 დადგენილება და ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალებებისა და სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #22 დადგენილებისა და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #23 დადგენილების გადახედვა), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება იცვლება **ნაწილობრივ შესაბამისობით.**

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აღმზრდელს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც დასტურდება პერსონალთან ინტერვიურებითა და მის პირად საქმეში შესაბამისი მტკიცებულებით, კერძოდ, აღმზრდელს ჩაუტარდა შპს „ჩვენთან ერთად 2024“ -ის მიერ 5 საათიანი ტრენინგი თემაზე: “პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა”, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია აქვს საბავშვო ბაღის გამგესაც, რაც დასტურდება მის პირად საქმეში შესაბამისი მტკიცებულებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი 2026 წლის 20 თებერვლის N ბ36.134260514 ბრძანებით და დაწესებულების შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 23 თებერვალს, აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს პერსონალის მართვის წესებსა და პირობებს.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი არეგულირებს დაწესებულებაში ორგანიზება/დაგეგმვის პროცესს, ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესს, პერსონალის შერჩევას, კონკურსის ჩატარების პროცედურას, დაწესებულებაში თანამშრომლის ინტეგრაციის პროცედურას და შესრულებული სამუშაოს მართვას, შესრულებული სამუშაოს შეფასებას, თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას.

შინაგანაწესის დოკუმენტით რეგულირდება შრომითი ურთიერთობების წარმოშობა და შეწყვეტა, სამუშაო დრო, დასვენების დრო, შვებულება და შრომის ანაზღაურება, დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები.
პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები გამომდინარეობს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ და აერთიანებს ყველა სავალდებულო პუნქტს, დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები), მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, შვებულება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა. დაწესებულების პერსონალი ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით, ან კონკურსის (ღია/დახურული) საფუძველზე.
დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პროცესები იმართება აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების დაცვით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას სოფელ ეცერის საბავშვო ბაღში გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება 2 აღმზრდელთან. შრომითი ხელშეკრულების მუხლი 5, პუნქტი 5.5 განსაზღვრავს, რომ „დასაქმებულს დამატებით განესაზღვროს არასაკონტქატო 60 წუთი კვირაში სამი დღე, რომელიც გამოყენებულ იქნება აღმზრდელის პროფესიული განვითარებისათვის და არ უნდა ემთხვეოდეს შესვენების დროს“. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი 2026 წლის 20 თებერვლის N ბ36.134260514 ბრძანებით, აღნიშნულით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას, რამდენადაც თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის მართვის წესში გაწერილია ვაკანტურ პოზიციაზე კადრის შერჩევის გზები, კერძოდ, პირი დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით, ან კონკურსის (ღია/დახურული) საფუძველზე. აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა, კონკურსის ეტაპები: კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა; შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება; კონკურსის შედეგების განსაზღვრა; კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები; საპრეტენზიო/სააპელაციო კომისის შექმნა; შიდა (დახურული) კონკურსის პროცესი; პირდაპირი გზით დანიშვნის პროცესი. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს დაწესებულებაში პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალოეობის პრინციპების დაცვით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი 2026 წლის 20 თებერვლის N ბ36.134260514 ბრძანებით, აღნიშნული დოკუმენტის მე-18 მუხლში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან, კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია: ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა; ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან; გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა; დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა; ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება; ზ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში; თ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება ი) სხვა. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას, მათი ადაპტაციის სისტემურ და ორგანიზებულ პროცესს. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ორგანიზაციული კულტურის პრინციპები განსაზღვრული აქვს ღირებულებებში, კერძოდ, დაწესებულება მის მთავარ ღირებულებად მიიჩნევს: ა) პროფესიონალიზმსა და ხარისხზე ორიენტირებას; ბ) თანამშრომლობას; გ) ინოვაციურობას; დ) სამართლიანობა და

თანასწორობას; ე) პოზიტიურ და მხარდამჭერ გარემოს შექმნას. თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებად დაწესებულება მიიჩნევს ყველა მნიშვნელოვან პროცესში ჯგუფური მუშაობისა და კომისიების შექმნის პრაქტიკას, თანამშრომლობითი და გუნდურად მუშაობის ორგანიზაციული კულტურა დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში ჩართული იყვნენ მიმდინარე პროცესში. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი 2026 წლის 20 თებერვლის N ბ36.134260514 ბრძანებით, აღნიშნული დოკუმენტის მე-19 მუხლში გაწერილია პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის მექანიზმი, კერძოდ, დაწესებულების შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას: ა) უნარები; ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი; გ) რესურსები და ინსტრუმენტები; დ) სამუშაო გარემო ; ე) კარიერული განვითარება ; ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი; ზ) აღიარება და მოტივაცია; თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია; ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა; კ) სხვა ფაქტორები. მექანიზმში განსაზღვრულია საჭიროებათა მოკვლევის მეთოდები, კერძოდ, ა) კითხვარი; დ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; ე) თვითშეფასება; ვ) გასაუბრება; ზ) პროცესზე დაკვირვება თ) სხვა, ასევე შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები: ა) დაგეგმვა, ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება, გ) შედეგების ანალიზი. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა ვიზიტის ფარგლებში ასევე წარმოადგინა გაერთიანების მონიტორინგის სპეციალისტის ზ. გიგდელიანის შემოწმების აქტი. დაწესებულებამ ასევე

წარმოადგინა მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების 2026 წლის გეგმიური შემოწმების გეგმა-გრაფიკი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 3 თებერვლის N№36.134260343 ბრძანებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი 2026 წლის 20 თებერვლის N №36.134260514 ბრძანებით, აღნიშნული დოკუმენტის მე-20 მუხლის მიხედვით დაწესებულება განახორციელებს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას, კერძოდ, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი/დაფინანსების წყარო. სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ დაწესებულება პედაგოგების გადამზადებას გეგმავს კურიკულუმის "თამაშის" მიმართულებით, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით ასევე გაწერილია სხვადასხვა ტრენინგ-კურსების ორგანიზება. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი 2026 წლის 20 თებერვლის N ბ36.134260514 ბრძანებით, დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმს, კერძოდ, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან, დაწესებულების შინაგანაწესის 29-ე მუხლი ეხება დასაქმებულის წახალისებისა და შეღავათების საკითხს, კერძოდ, დოკუმენტში წერია, რომ სამუშაოში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის. ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის გაერთიანება უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილოვება; გ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულება აცხადებს მზადყოფნას ხელი შეუწყოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……

……

რჩევა

……

……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტროის მიერ 2026 წლის 23 თებერვლის ბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;

2.ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 23 თებერვლის N ბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;

3. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრუქტურა/ორგანოგრამა;

4. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სოფელ ეცერის საბავშვო ბაღის სტრუქტურა/ორგანოგრამა;
5. პერსონალის პირადი საქმეები;
6. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების საშტატო ნუსხა;
7.პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #22 დადგენილება;
8.,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #23 დადგენილება.
9.ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვალს N ბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტით.
10.შრომითი ხელშეკრულებები;
11.ინტერვიუს შედეგები;
12. სერტიფიკატები;

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი 2026 წლის 23 თებერვლის N ბ36.134260541 ბრძანებით, დოკუმენტში იდენტიფიცირებული და აღწერილია დაწესებულებაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, **მმართველობით პროცესებს მიეკუთვნება** - სტრატეგიული დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა, **ძირითად პროცესებს მიეკუთვნება** - კურიკულუმის განხორციელება, შერჩევა/შემუშავება, შეფასება და განვითარება, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა), სსსმ ბავშვების მომსახურება, ოჯახთან და თემთან ურთიერთობა. **დამხმარე პროცესებს მიეკუთვნება** - ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტთბრუნვა); პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური მართვა; ბავშვთა კვების პროცესების უზრუნველყოფის პროცესის მართვა; სხვა სერვისები. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი 2026 წლის 23 თებერვლის N ბ36.134260541 ბრძანებით, პროცესების აღმწერები მოიცავს, პროცესის დასახელებას, ახდენს პროცესის მფლობელის იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს პროცესის შემადგენელ ეტაპებს/ქვეპროცესებს და პროცესის მარეგულირებელ წესს/მექნიზმს. პროცესების მარეგულირებელი მექანიზმები ეფუძნება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. დოკუმენტში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი -ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომლის ფუნქციებიც გაწერილია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში. მენეჯერი: ● აიდენტიფიცირებს გაერთიანებაში/ბაღებში მიმდინარე პროცესებს და განსაზღვრავს მათ აღმწერებს; ● აფასებს თითოეულ პროცესთან დაკავშირებულ რისკებს; ● ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის წლიურ სამოქმედო გეგმას და წარუდგენს მას გაერთიანების ხელმძღვანელობას; ● კოორდინირებას უწევს პროცესების

მიმდინარეობის მონიტორინგს და აფასებს მათ ხარისხს; ● ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს თითოეული პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით; ● ქმნის და ნერგავს სხვადასხვა მექანიზმს/ინსტრუმენტს ხარისხის შეფასების მიზნით; ● გაერთიანების მისიის, ხედვისა და მიზნების მიღწევის პროცესში აქტიურად თანამშრომლობს გაერთიანების სხვა თანამსრომლებთან; ● პასუხისმგებელია ავტორიზაციის და ხარისხის გარე უზრუნველყოფის სხვა მიმართულებებისთვის გაერთიანების/ბაღების მომზადებაზე; ● პასუხისმგებელია თვითშეფასების განხორციელების პროცესზე; ● აფასებს გაერთიანების/ბაღების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან, ავლენს გასაუმჯობესებელ მიმართულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს; ● ახორციელებს კომპეტენციას მიკუთვნებულ კორესპონდენციებზე დროულ რეაგირებას; ● მონაწილეობას იღებს პერსონალისათვის განათლების სფეროში უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის პროცესში, უწევს მათ კონსულტაციებს და დახმარებას პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად; ● ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც დაკავშირებულია გაერთიანების ყოველდღიური საქმიანობის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და გაერთიანების შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან; ● ასრულებს ხელმძღვანელის სხვა დავალებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ვინაიდან ხარისხის უზუნველყოფისა და პროცესების აღმწერების დოკუმენტი დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2026 წლის 23 თებერვალს N ბ36.134260541 ბრძანებით, დაწესებულებაში იდენტიფიცირებული ყველა პროცესი სრულყოფილად ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისათვის შემუშავებულია მარეგულირებელი წესები/მექანიზმები. დოკუმენტში - პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა - განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჯერ არ ჰყავდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დანიშვნა პირდაპირი დანიშვნის გზით, ან კონკურსის (ღია/დახურული) საფუძველზე, რათა პროცესების მართვა განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა გაერთიანების ბაზაზე), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების ბიუჯეტი), ხარვეზის გამოსწორების 6 თვიანი პერიოდი, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობით.**

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი 2026 წლის 18 თებერვლის N ბ36.134260491 ბრძანებით, აღნიშნულ წესში გაწერილია დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპები, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის განხორციელების ფორმა, ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები, ბავშვის ჩარიცხვის ეტაპები და მათი განხორციელების წესი, ბავშვის ამორიცხვის საფუძვლები, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვების ჩარიცხვის წესი და პრიორიტეტულობა, სარეზერვო სიების წარმოების მექანიზმი და წესში განსაზღვრული პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულება ბავშვის ჩარიცხვასა და ამორიცხვას უზრუნველყოფს დადგენილი წესის შესაბამისად. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 18 თებერვლის N ბ36.134260491 ბრძანებით, აღნიშნული წესი განსაზღვრავს ბაღში ჩარიცხვისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, კერძოდ, ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება გაერთიანების დირექტორის სახელზე; ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; გ) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა; დ) ბავშვის ფოტოსურათი; ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში; ვ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი; ზ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა; თ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე; ი) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის

წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის); კ) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ლ) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ. აღნიშნული წესის შესაბამისად მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება, ხელშეკრულების ფორმა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გაერთიანების დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება ბავშვის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ. წესის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების დირექტორის მოადგილეს მეთოდურ დარგში და საბავშვო ბაგა-ბაღების გამგეებს, აღნიშნულნი ვალდებულნი არიან, რომ უზრუნველყონ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეგროვება, უზრუნველყონ ხელშეკრულების ხელმოწერა მშობელთან/მეურვესთან; მონაწილეობა მიიღონ ჩარიცხული ბავშვის პირადი საქმის დოკუმენტების სისტემატიზაციის პროცესში;
რაც შეეხება დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 20 თებერვლის N ბ36.134260514 ბრძანებით, აღნიშნული წესის 22-ე მუხლი განსაზღვრავს თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების მექნიზმს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
ბ) რეზიუმე/CV;
გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:
დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;
ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.
პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.
პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პირადი საქმეები სრულყოფილად არ მოიცავს რეგულციით დადგენილ დოკუმენტაციას. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის არარსებობის შესახებ ცნობების განახლების პერიოდი, ასევე ცნობა ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ, აღნიშნული ცნობები არ არის წარმოდგენილი შესაბამისი პოზიციის პერსონალის პირად საქმეებშიც. ასევე, პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესით და არც სხვა რომელიმე მარეგულირებელი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული რა დოკუმენტები უნდა ინახებოდეს მომსახურეობის მიწოდების ადგილზე და რა დოკუმენტები გაერთიანებაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პირადი საქმეების წარმოების სრულყოფილი წესის შემუშავება, წესის შესაბამისად მოხდეს პერსონალის პირადი საქმეების წარმოება და მათში პერსონალის მართვის წესის 22-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების განთავსება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია: ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, დაწესებულება უნდა აწარმოებდეს პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად. დასკვნის პროექტში მოცემული აღწერის მიხედვით, აქვს ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის №36.134260514 ბრძანებით დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომლის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს პირადი საქმის შემადგენელი სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალს. აღნიშნულ რეგულაციაში არ არის განსაზღვრული დოკუმენტაციის დიფერენცირება მისი შენახვის ადგილის მიხედვით. რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, პირადი საქმეების დიფერენცირებისა და შენახვის ადგილის განსაზღვრა არ არის საქართველოს 8 კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ნორმა, შესაბამისად, ამ საკითხის ასახვა რეგულაციაში არ არის სავალდებულო. ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის "სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა" და "სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 ტექნიკური რეგლამენტი არ აწესებს კონკრეტულ ანალიზებს, რომელიც უნდა ჩაიტაროს სურსათის წარმოებასთან/გადამუშავებასთან უშუალაო შეხებაში მყოფმა პერსონალმა. შესაბამისად, დაწესებულება აწარმოებს პირად საქმეებს მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული არგუმენტაციიდან გამომდინარე დაწესებულება არ ეთნხმება და შესაბამისობის გეგმაში არ გადააქვს შემდეგი ხარვეზები: ა) გადაიხედოს პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი; ბ) პირად საქმეებში შეტანილი იქნას ცნობები ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ, ცნობა სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხების არარსებობის შესახებ; გ) „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესში " განისაზღვროს თუ რა დოკუმენტები უნდა ინახებოდეს მომსახურების მიწოდების ადგილზე და რა დოკუმენტები გაერთიანებაში. აღნიშნული ხარვეზიდან შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობის წარმოდგენა პერსონალის პირად საქმეში, აღნიშნული ცნობის სავალდებულობა მარეგულირებელ დოკუმენტში ისედაც განსაზღვრულია.

დაწესებულებამ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დაასაბუთა პირადი საქმეების წარმოება მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და ექსპერტის ხარვეზი გაიზიარა ნაწილობრივ, კერძოდ, „აღნიშნული ხარვეზიდან შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობის წარმოდგენა პერსონალის პირად საქმეში, აღნიშნული ცნობის სავალდებულობა მარეგულირებელ დოკუმენტში ისედაც განსაზღვრულია“. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა, რომელიც მიემართება ზემოხსნებული საკითხის გამოსწორებას (ბაღის პერსონალისთვის წარმოდგენილი იქნას ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი, აღნიშნული გეგმა ნაწილობრივ გაზიარდა და ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 23 თებერვლის N ბ36.134260541 ბრძანებით დამტკიცებული „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი”.
2. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 18 თებერვლის N ბ36.134260491 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“;
3. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 23 თებერვლის N ბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
4. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 20 თებერვლის N ბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
5. პერსონალის პირადი საქმეები;
6. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკურლებები;
7.ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამებ.ა ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:

4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

